საიდ. №66334/03

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №59-03/13

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპა-ტენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ე. ეგუტია (თავმჯდომარე), დ. ჭიჭინაძე, ლ. ახობაძე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 199-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ” პუნქტის საფუძველზე, ზეპირი მოსმენის გაუმართავად განიხილა კომპანიის ობშჩესტვო ს ოგრანიჩენნოი ოტვეტსტვენნოსტიუ „ინტელ”-ის (Общество с ограниченной ответственностью “Интел”) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №59-03/13), რომლითაც მოითხოვება „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2012 წლის 11 დეკემბრის №1716/03 ბრძანების ბათილად ცნობა სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ და სასაქონლო ნიშნის „СУЛИКО” (საიდ. №66334/03) დარეგისტრირება საქართველოში შპს „ახალშენი”-ს სახელზე (33-ე კლასი). „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2012 წლის 11 დეკემბრის №1716/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი „СУЛИКО” შეცდომაში

შემყვანია განცხადებული საქონლისათვის კერძოდ, 33-ე კლასისათვის, ვინაიდან აღნიშნული შესაძლებელს ხდის მომხმარებელს მცდარი წარმოდგენა შეუქმნას მისი გეოგრაფიული წარმოშობის შესახებ, რადგან „სულიკო” არის ცნობილი ქართველი პოეტის აკაკი წერეთლის ლექსი, რომელზედაც 1895 წელს შეიქმნა ქართული პოპულარული სიმღერა „სულიკო”, რომელიც განსაკუთრებით პოპულაული იყო ყოფილ „დსთ”-ს ქვეყნებში. ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, აღნიშნული ლექსი და სიმღერა ასოცირდება საქართველოსთან, ხოლო განმცხადებელი სასაქონლო ნიშანზე „СУЛИКО” არის რუსეთის ფედერაციაში რეგისტრირებული იურიდიული პირი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „თ” ქვეპუნქტის თანახმად განცხადებულ ნიშანს უარი ეთქვა რეგისტრაციაზე განცხადებული საქონლის სრული ჩამონათვლისათვის.

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

აპელანტის წარმომადგენელი თავის სააპელაციო საჩივარში მიუთითებს, რომ აღარ არსებობს სასაქონლო ნიშნის „СУЛИКО” საქართველოში რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი 33-ე კლასის საქონლისათვის „სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „თ” ქვეპუნქტის თანახმად, ვინაიდან განმცხადებელმა კომპანია ობშჩესტვო ს ოგრანიჩენნოი ოტვეტსტვენნოსტიუ „ინტელ”-მა სასაქონლო ნიშნის განაცხადზე „СУЛИКО” (საიდ. №66334/03) უფლებები გადასცა საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიას შპს „ახალშენი”. სააპელაციო საჩივარში ასევე მითითებულია, რომ მიუხედავად იმისა, რომ განაცხადზე მიღებულია ექსპერტიზის უარყოფითი გადაწყვეტილება, საქპატენტში მასზე საქმის წარმება არ არის დასრულებული და ამიტომ ის უფლებამოსილია გადასცეს უფლებები ასეთ განაცხადზე.

კოლეგიამ განიხილა აპელანტის არგუმენტაცია, შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს

შემდეგ გარემოებათა გამო:

საქპატენტის სასაქონლო ნიშნების მონაცემთა ოფიციალურ ბაზაში 2013 წლის 11 მარტს დაფიქსირებული ცვლილების თანახმად, რუსულმა კომპანიამ ობშჩესტვო ს ოგრანიჩენნოი ოტვეტსტვენნოსტიუ „ინტელ" სასაქონლო ნიშნის „СУЛИКО" (საიდ. №66334/03) განაცხადზე უფლებები გადასცა ქართულ კომპანიას შპს „ახალშენი". აღნიშნული ცვლილების შესაბამისად, სასაქონლო ნიშნის „СУЛИКО" (საიდ. №66334/03) განაცხადის მფლობელს წარმოადგენს ქართული კომპანია შპს „ახალშენი", შესაბამისად მოცემული ცვლილების გათვალისწინებით ვინაიდან განაცხადი უკვე ეკუთვნის საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიას, შესაბამისად განცხადებული ნიშნის რეგისტრაცია აღარ შეუქმნის მომხმარებელს მცდარ წარმოდგენას 33-ე კლასის საქონლის გეოგრაფიული წარმოშობის მიმართ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, განცხადებული სასაქონლო ნიშნის განაცხადი ეკუთვნის ქართულ კომპანიას აღარ არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული გარემოება, რომლის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი „შესაძლებელს ხდის, მცდარი წარმოდგენა შეუქმნას მომხმარებელს საქონლის თვისების, ხარისხის, გეოგრაფიული წარმოშობის ან საქონლის სხვა მახასიათებლების შესახებ".

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. კომპანიის ობშჩესტვო ს ოგრანიჩენნოი ოტვეტსტვენნოსტიუ „ინტელ"-ის (Общество с ограниченной ответственностью "Интел") სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. ბათილად იქნას ცნობილი საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების

ეროვნული ცენტრის „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2012 წლის 11 დეკემბრის №1716/03 ბრძანება სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ.

3. სასაქონლო ნიშანი „СУЛИКО” (საიდ. №66334/03) დარეგისტრირდეს საქართველოში შპს „ახალშენი”-ს სახელზე.

4. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17). გადაწყვეტილების გაცნობიდან/ჩაბარებიდან ერთი თვის განმავლობაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: ე. ეგუტია

წევრები: დ. ჭიჭინაძე

ლ. ახობაძე